დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" - განკარგულების პროექტის თაობაზე

განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-ს 46-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად.

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია - საკრებულოს განკარგულება.

განკარგულების პროექტი ასევე შეესაბამება ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლს, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

იურიდიული განყოფილების უფროსი: ზ. ბ. ზექა შენგელია